პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 21 (5122) | ხუთშაბათი, 27 იანვარი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში.

რეაბილიტაცია ვუყოთ არასწორად გარიცხულთ, მკაცრად დავსაჯოთ ცილისმწამებელნი! („პრავდის“ მოწინავე).

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში (1-ლი გვ.)

მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისათვის მზადება (1-ლი გვ.).

საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტში აღმოჩენილი კონტრრევოლუციურ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი (მე-3 გვ.).

გ. ბლიაძე — გამოვასწოროთ ნას.-სამ. პარტიის ორგ-დების დამახინჯებანი (მე-3 გვ.).

უცხოეთში:

ესპანეთის ფრონტებზე (1-ლი გვ.).

საომარი მოქმედება ჩინეთში (1-ლი გვ.).

საფრანგეთის მთავრობის დემარში (1-ლი გვ.).

საფრანგეთის პრესა გერმანია-იტალიის საიდუმლო შეთანხმების შესახებ (1-ლი გვ.).

რეაბილიტაცია ვუყოთ არასწორად გარიცხულთ, მკაცრად დავსაჯოთ ცილისმწამებელნი!

პარტიულ ორგანიზაციებში დაიწყეს პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ამ დღეებში გამოქვეყნებული დადგენილების განხილვა. პარტიული ხელმძღვანელები, პარტიის რიგითი წევრები ცდილობენ შეიგნონ ის შეცდომები, რომლებზედაც ასეთი პირდაპირობითა და სიმკვეთრით მიუთითა ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა თავის დადგენილებაში. მთელი აზრი მიმართულია იქითკენ, რომ უმოკლეს ვადაში გამოსწორდეს პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას დაშვებული შეცდომები, რომ უმოკლეს ვადაში აღმოიფხვრას ფორმალურ - ბიუროკრატიული დამოკიდებულება გარიცხულთა აპელაციებისადმი.

იწყება პრაქტიკული მუშაობა პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ამოცანა უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ პარტიის რიგებში აღვადგინოთ კარიერისტთა, გულმოდგინე თავდამზღვევთა და შენიღბულ მტერთა მეცადინეობით პარტიიდან დაუმსახურებლად გარიცხული ამხანაგები.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი წინადადებას იძლევა სამი თვის ვადაში დამთავრდეს პარტიიდან ყველა გარიცხულის აპელაციათა განხილვა.

პლენუმმა მკაცრად დაჰგმო ის პარტიული ხელმძღვანელები, რომლებსაც „გულუბრყვილოდ სჯერათ, რომ არასწორად გარიცხულთა მიმართ შეცდომების გამოსწორებას შეუძლია ძირი გამოუთხაროს პარტიის ავტორიტეტს და ავნოს ნალხის მტრების მხილების საქმეს, მათ არ ესმით, რომ პარტიიდან არასწორი გარიცხვის თვითეული შემთხვევა ხელსაყრელია პარტიის მტრებისათვის“.

თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ უკან უნდა მიიხედოს და პლენუმის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით განიხილოს პარტიიდან გარიცხულთა ყველა აპელაცია.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ბევრი პარტიული ორგანიზაცია არ იჩენს მიდრეკილებას სწრაფად გამოასწოროს დაშვებული შეცდომები. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში, როგორც მაგალითი, მოყვანილია შემთხვევა, როცა ჯურსკის საოლქო კომიტეტმა სრულიად შეუმოწმებლად დაუსწრებლად გარიცხა პარტიიდან და დაამტკიცა დმიტრო-ტარანოვსკის მაქრის ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ივანჩენკოვი. როგორც „კურსკაია პრავდა“ იუწყება, საოლქო კომიტეტმა ჯერ კიდევ 1937 წლის 10 დეკემბერს შეიტყო, რომ ივანჩენკოვს ბრალდების მთელი მასალა ყალბი და ცილისმწამებლური. მაგრამ კურსკის საოლქო კომიტეტის ბიურომ საჭიროდ არ ჩასთვალა გაეუქმებინა თავისი არასწორი, მავნე გადაწყვეტილება. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებამდე. ამით კურსკის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელებმა მეორე, კიდევ უფრო უხეში შეცდომა ჩაიდინეს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დადგენილების სპეციალური პუნქტით დაავალა „პარტიის რაიკომებს, საქალაქო კომიტეტებს დაუყოვნებლივ მისცენ პარტიული დოკუმენტები პარტიაში აღდგენილთ, ჩაბან ისინი პარტიულ მუშაობაში და განუმარტონ პირველადი პარტორგანიზაციების ყველა წევრს, რომ ისინი პასუხს აგებენ საკ. კ. პ. (ბ) რიგებში აღდგენილთა ბოლშევიკური აღზრდისათვის“.

კომუნისტი, არასწორად გარიცხული, ცილდაწამებული, შემდეგ კი აღდგენილი, თავის პარტიულ ოჯახში უნდა დაბრუნდეს როგორც პარტიული ორგანიზაციის თანასწორუფლებიანი წევრი.

ხშირად ხდება, რომ არასწორად გარიცხულ, შემდეგ კი აღდგენილ ამხანაგს უსაყვედურებენ გარიცხვას, თითქოს ის იყოს დამნაშავე ამაში, რომ მას ცილი დასწამეს, რომ მისი საკითხის გადაწყვეტას დანაშაულებრივად ქარაფშუტულად მიუდგნენ.

ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში დამკვიდრდა არასწორი, მავნე პრაქტიკა, როცა საკ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთ დაუყოვნებლივ ხსნიდნენ სამუშაოდან. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მკაცრად დაჰგმო ასეთი დამოკიდებულება გარიცხულებისადმი. ორმაგი დანაშაულია, როდესაც **არასწორად** გარიცხულ და შემდეგ პარტიაში აღდგენილ კომუნისტს არ აძლევენ სამუშაოს, ან ბღალავენ მას, გზავნიან რა მისი კვალიფიკაციისათვის შეუფერებელ სამუშაოზე.

პარტია სწმენდდა, სწმენდს და შემდეგშიც გასწმენდს თავის რიგებს ფარული და აშკარა მტრებისა და მათი დამქაშებისაგან. მაგრამ არ დააყოვნეს ამ უდიდეს გამწმენდ მუშაობას მიტმასნოდნენ თავკერძა ადამიანები და კარიერისტები, რომლებიც ცდილობდნენ თაკი გამოეჩინათ და დაწინაურებულიყვნენ პარტიიდან გარიცხვებით, ცდილობდნენ ამით დაემსახურებინათ ფხიზელი პარტიელების სახელი. თავკერძა ადამიანებთან და კარიერისტებთან ხელიხელჩაკიდებულნი მოქმედებდნენ შენიღბული მტრებიც, რომლებიც, გაჰყვიროდნენ რა სიფხიზლეზე და მოითხოვდნენ რა სრულიად უდანაშაულო ადამიანთა გარიცხვას, საკუთარ კვალს ჰფარავდნენ, მოსაჩვენებელი, ყალბი სიფხიზლით ჰფარავდნენ საკუთარ დანაშაულობებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს მკაცრ პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომელთაც დანაშაული მიუძღვით პარტიის წევრებისათვის ცილის დაწამებაში. პატიოსანი კომუნისტების წინააღმდეგ დაუმტკიცებელი, ლიტონი ბრალდებების წაყენებისათვის ცილისმწამებელი მკაცრ პასუხს აგებს თვით პარტიიდან გარიცხვამდე და სამართალში მიცემამდე.

ყველაზე უფრო გაჭირვილი კარიერისტები და გაიძვერები გაზეთების გამოყენებასაც ახერხებდნენ ცილისმწამებლური მიზნებისათვის. გაზეთის ფურცლებზედაც ბევრ უდანაშაულო ადამიანს დასწამეს ცილი. ზოგჯერ საკმარისი იყო პარტიელი ყალბი დაბეზღებით გაერიცხათ პარტიიდან, რომ იგი დაუყოვნებლივ უპასუხისმგებლოდ გაემათრახებინათ გაზეთში.

ასე, მაგალითად, გაზეთ „ვოლოკოლამსკი კოლხოზნიკმა“ სრულიად უსაფუძვლოდ უწოდა პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორს ამხ. ბელოვს „ტროცკისტ-ბუხარინელი ნაბოლარა“. გამორკვეულია, რომ ეს სიცრუეა. მაგრამ „ვოლოკოლამსკი კოლხოზნიკის“ რედაქციას არც კი უფიქრია გამოექვეყნებინა უარყოფა.

გაზეთების რედაქტორებს, ისევე, როგორც პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, უნდა ახსოვდეთ, რომ **დაშვებული შეცდომების გამოსწორება არა თუ არ სცემს ავტორიტეტს, არამედ, პირიქით, მაღლა სწევს მას, ვინაიდან შეცდომების პატიოსნად აღიარება ბოლშევიკური თვითკრიტიკის პრინციპების შეთვისებას მოწმობს.**

თუ კაცი არასწორად, მოუფიქრებლად ან შეცდომით გაამათრახეს გაზეთში, მაშასადამე, საჭიროა ასევე ხმამაღლა განაცხადონ, რომ ეს კაცი დამნაშავე არ არის.

ყველგან და ყოველთვის პოლიტიკურად ფხიზლად ყოფნა — ასეთია ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც ბოლშევიკური პარტია უყენებს პარტიული ორგანიზაციების ყველა წევრს უკლებლივ. მაგრამ, „დროა შევიგნოთ, რომ ბოლშევიკური სიფხიზლის დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ გქონდეს უნარი ამხილო მტერი, რარიგ ცბიერიც და გაქნილიც არ უნდა იყოს იგი, რა სამოსელითაც არ ირთვებოდეს იგი, და არა იმაში, რომ განურჩევლად ან „ყოველი შემთხვევისათვის“ ათობით და ასობით რიცხავდე პარტიიდან ყველას, ვინც ხელში მოგხვდება“. (საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან).

დაშვებული შეცდომების სწრაფად გამოსწორება, პარტიიდან არასწორად გარიცხულთა რეაბილიტაცია შეხამებულ უნდა იქნას ნამდვილი მტრებისადმი მკაცრ შეურიგებლობასა და შეუბრალებლობასთან.

ამას მოითხოვს თვითეული ბოლშევიკისაგან პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილება.

„პრავდის“ მოწინავე, 26/I

ჯგუფი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა საქართველოს სსრ-დან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან კრემლში 1938 წლის 20 იანვარს. („სოიუზფოტო“)

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში

24 იანვარს კრემლში ამხ. მ. ი. კალინინის თავმჯდომარეობით შეხდგა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის პირველი სხდომა.

პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, გამოქვეყნდეს მოკავშირე რესპუბლიკათა ენებზე, აგრეთვე თათრულ, ბაშკირულ და კუმიკურ (დაღისტანი) ენებზე კანონები, მიღებული სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მიერ, და გამოიცეს სსრ კავშირის კონსტიტუციის ტექსტი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული ცვლილებებით და დამატებებით, აგრეთვე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის სტენოგრაფიული ანგარიში.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა შეუდგეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ოფიციალური ორგანოს „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწყებების“ გამოცემას განყოფილებებით: კანონები, მიღებული სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებანი, საინფორმაციო მასალა, „უწყებები“ გამოიცემა მოკავშირე რესპუბლიკათა ენებზე.

მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილება გაზეთ „სსრ კავშირის ცაკისა და სრულიად რუსეთის ცაკის „იზვესტიის“ „სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების „იზვესტიად“ გადაკეთების შესახებ.

მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 20 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით დაარსდა საიუბილეო მედალი „მუშურ-გლეხური წითელი არმიის XX წელი“. დამტკიცებულ იქნა დებულება საიუბილეო მედალის შესახებ, მისი მოხატულობა და აღწერილობა.

პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანება ამნისტიის შესახებ სამხედრო ხაზით. მუშურ-გლეხური წითელი არმიის 20 წლისთავის აღსანიშნავად.

დამტკიცებულ იქნა სადეპუტატო ბილეთისა და მკერდზე დასაბნევი სადეპუტატო ნიშნის ნიმუშები.

დაარსდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნო, რომელშიც შედიან ამხანაგები: გორკინი, მალენკოვი, ნიკოლაევა, სიდოროვი, კოზლოვი; მოეწყო აგრეთვე საქმეთა სამმართველო.

მიღებულია აგრეთვე ორგანიზაციული ხასიათის მთელი რიგი გადაწყვეტილებანი.

მოსკოვის მეჭიროს მესამე რიგი

მოსკოვი, 25 იანვარი (საკდესი). მეტრომშენებლები თანდათანობით გადადიან მოსკოვის მეტროს მესამე რიგის ხაზების აგებაზე.

თებერვალში ამუშავდება პირველი ორი ფარი გვირაბების გასაყვანად. სადგურ „კურსკაიას“ ჩიხში არსებული ფარით გაყვანილი იქნება გვირაბი იზმაილოვსკის პარკის მიმართულებით სტალინის სახელობის ახალი სტადიონისაკენ, რომელიც ამჟამად შენდება. ეს ხაზი იქნება მეტროს პოკროვსკის რადიუსის გაგრძელება.

სადგურ „რევოლუციის მოედანზე“ არსებული მეორე ფარით დაიწყება ზამოსკვორეცკის რადიუსის გვირაბის გაყვანა.

დაიწყო მეტროს მესამე რიგის პირველი სადგურის „სტალინის სახელობის ავტოქარხნის“ აგება.

მეტროს მესამე რიგის ხაზი, რომლის საერთო სიგრძე 16 კილომეტრზე მეტი იქნება, 1939 წელს უნდა დამთავრდეს.

მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისათვის მზადება

საუბარი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს უფროსთან ამხ. ი. ვ. საუტინთან

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს დაავალა ჩაატაროს 1939 წლის იანვარში მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერა. ამ ურთულესი და უაღრესად საპასუხისმგებლო მუშაობისათვის მოსამზადებლად ჩვენს განკარგულებაში ერთ წელიწადზე ნაკლები ვადა დარჩა. ვადის სიმცირე მოითხოვს უაღრესად სერიოზული ყურადღება მიექცეს მოსახლეობის აღწერისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს.

მოსამზადებელ სამუშაოთა ხარისხი საგრძნობლად განსაზღვრავს თვით აღწერის წარმატებას. აღწერისათვის მზადება უკვე დაიწყო. სახალხო - სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოში მოწვეულ იქნა მთელი რიგი თათბირები.

მეცნიერ მუშაკთა და პრაქტიკოს სტატისტიკოსთა მონაწილეობით ჩატარდა მოსახლეობის 1920 და 1926 წლების აღწერათა, მოსახლეობის 1923 წლის საქალაქო აღწერის, რევოლუციამდელი 1897 წლის აღწერისა და საზღვარგარეთ წარმოებული მთელი რიგი აღწერების მასალათა შესწავლა.

ამჟამად დადგენენ ყველა დასახლებული ადგილის სიას. ამ სიაში შეტანილ უნდა იქნან არამარტო მსხვილი დასახლებული პუნქტები, არამედ აგრეთვე ყოველგვარი პატარა სოფლები, იზოლირებულად მდგომი საცხოვრებელი შენობები, სადარაჯოები, მონადირეთა ქოხები და ა. შ. ქალაქებში ადგენენ სახლთმფლობელობათა სიებს, სწარმოებს ქალაქთა გეგმებისა და რაიონთა რუკების დაზუსტება, ადგენენ სქემატურ რუკებს თვითეულ სასოფლო საბჭოზე.

მოსახლეობის მომავალ აღწერას უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ამის მიუხედავად, ალაგ-ალაგ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები აღწერისათვის მომზადების საკითხებს ჯერ კიდევ არ აქცევენ საკმაო ყურადღებას. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას კადრების შერჩევაზე, აძავე დროს, მოსახლეობის აღწერის წარმატებას, გეგმისა და პროგრამის სწორად შედგენის გარდა, სწყვეტენ კადრები. ჩვენთვის საჭიროა პოლიტიკური მხრით კარგად შემოწმებული საქმიანი ადამიანები, რომელთაც უყვართ ჩვენი ქვეყანა. სპეციალისტი სტატისტიკოსები არც თუ ისე ბევრია. მაგრამ ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაცია, სამწუხაროდ, ანგარიშს არ უწევს ამას და გამოცდილი სტატისტიკოსები სხვა სამუშაოზე გადაჰყავს. მაგალითად, ვინიცის ოლქის ორატოვის რაიონში სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორი გადაყვანილ იქნა სხვა სამუშაოზე. დონეცის ოლქში სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს რაიონის 4 ინსპექტორი, კიევის ოლქში—10 ინსპექტორი და ა. შ. უკრაინის სს რესპუბლიკაში, უზბეკეთსა და აზერბაიჯანში ჩვენ ჯერ კიდევ არა გვყავს მოსახლეობის აღწერის ბიუროს უფროსები. მოსახლეობის აღწერის სამხარეო და საოლქო ბიუროებში ჯერ კიდევ არ არის დანიშნული 14 უფროსი.

განსაკუთრებით დიდ შეშფოთებას იწვევს აღწერისათვის მომზადების მდგომარეობა ჩიტის ოლქში და შორეულ-აღმოსავლეთის მხარეში. შორეულ-აღმოსავლეთის მხარის არც ერთ ოლქში არ არის შექმნილი საჭირო აპარატები. შეუწყნარებლად ნელი ტემპებით მიმდინარეობს მომზადება ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, ყალმუხეთის ასს რესპუბლიკაში, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში და ყარა-კალფაკთა ასს რესპუბლიკაში.

რესპუბლიკურმა, სამხარეო და საოლქო ორგანიზაციებმა და პირველ რიგში აღმასკომებმა დახმარება უნდა გაგვიწიონ ადამიანთა შერჩევაში, განსაკუთრებით რაიონებისა და უბნის ინსპექტორთა თანამდებობებზე.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან და ბარსელონიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, რომელიც 24 იანვარს გამოქვეყნდა, ტერუელის ფრონტზე ადგილი ჰქონდა თოფებისა და არტილერიის სროლას.

რესპუბლიკელთა 40 თვითმფრინავმა წარმატებით დაუშინა ყუმბარები მეამბოხეთა თავმოყრილ ძალებს, საჰაერო ბრძოლის დროს რესპუბლიკელმა მფრინავებმა ჩამოაგდეს ფაშისტთა თვითმფრინავი „ფიატი“.

დანარჩენ ფრონტებზე რაიმე მნიშვნელოვანი ოპერაციები არ ყოფილა.

ᲪᲐ

ესპანის სააგენტოს გადმოცემით, 24 იანვარს დღისით მეამბოხეთა სამხედრო გემები „ბალეარესი“ და „კანარიასი“ ნაღმოსნებისა და წყალქვეშა ნავის თანხლებით სცდილობდნენ ყუმბარები დაეშინათ პორტ-ბუსათვის. მაგრამ რესპუბლიკელთა ავიაციამ იერიში მიიტანა ფაშისტთა გემებზე, ესროლა მათ 14 ყუმბარა და აიძულა ისინი წასულიყვნენ ბალეარის კუნძულების მიმართულებით.

ჰავასის სააგენტოს გადმოცემით, მეამბოხეთა 16 თვითმფრინავმა 24 იანვარს ყუმბარები დაუშინა ელაუდეტს, კუენკის პროვინციაში. ბომბარდირების შედეგად სამოქალაქო მოსახლეობას შორის მსხვერპლი დიდია.

ქალაქ რეუსისათვის ყუმბარების დაშენის შედეგად, რასაც ფაშისტთა თვითმფრინავებმა ორჯერ მიმართეს, მოკლულია 32 და დაჭრილია 30 კაცი.

როგორც ესპანის სააგენტო იუწყება, 15-დან 20 იანვრამდე მეამბოხეთა ავიაციამ 77-ჯერ მოახდინა თავდასხმა რესპუბლიკელთა ქალაქებზე. 32 თავდასხმის დროს გადმოჰყარეს 425 ფეთქებადი და ცეცხლწამკიდებელი ყუმბარა. ამ ბომბარდირებათა შედეგად სამოქალაქო მოსახლეობას შორის მოკლულია 273 და დაჭრილია 456 კაცი. მეამბოხეთა დაახლოებით 500 ყუმბარამ მიზანს ვერ მიაღწია.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩრდილოეთ ჩინეთში

ლონდონი, 25 იანვარი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტის ცნობით, იაპონიის არმიის წარმომადგენელმა 24 იანვარს განაცხადა, რომ მდგომარეობა ფრონტებზე უცვლელი რჩებაო. მისი სიტყვით, ჩინეთის ჯარები ცდილობენ ძინანის (შანდუნის პროვინციის ყოფილი დედაქალაქი) იზოლირებას და იაპონიის ჯარის დამხმარე რაზმების ბლოკირებას ინჯოოუსთან (ძინანის სამხრეთით). ჩინელი პარტიზანები დიდ აქტივობას იჩენენ იაპონელთა აქ დაბანაკებული ნაწილების ზურგში.



ცენტრალურ ჩინეთში

ლონდონი, 25 იანვარი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ბენპუს (სადგური ტიანძინ-პუკოუს რკინიგზაზე, ფინ-იახის ჩრდილო - დასავლეთით) რაიონში სწარმოებს ჩინეთის დიდძალი ჯარის კოხცენტრაცია.

ჩინეთის ხელისუფალთა განცხადებით, ჩინეთის ჯარების მიერ უხუზე მიტახილი კონტრიერიშის დროს განადგურებულ იქნა იაპონიის 8 თვითმფრინავი, რომლებიც აეროდრომზე იმყოფებოდნენ.

ტოკიო, 24 იანვარი (საკდესი). დომეი ცუსინის ნანკინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 23 იანვარს ჩინეთის თვითმფრინავთა ესკადრილიამ ორჯერ დაუშინა ყუმბარები ქალაქ უხუს (ნანკინის სამხრეთით).

სამხრეთ ჩინეთში

ლონდონი, 25 იანვარი (საკდესი). ბრიტანულ იუნაიტედ პრესის კანტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გუშინ იაპონიის თვითმფრინავებმა კვლავ ყუმბარები დაუშინეს კანტონ-ხანკოუს და კანტონ-კოულანის რკინიგზების მთელ ოიგ პუნქტებს. ბომბარდირება განიცადა აგრეთვე კანტონის გარეუბნის ჩრდილო-დასავლეთმა ნაწილმა. მოკლულია 20 კაცზე მეტი.

იაპონიის თვითმფრინავები თავს დაესხნენ აგრეთვე იჩანს (ნავსადგური მდინარე იანძიზე ხუბეის პროვინციაში) და ჩანშას (ხუნანის პროვინციის დედაქალაქი).

საფრანგეთის მთავრობის დემარში

პარიზი, 25 იანვარი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა მიმართოს ენერგიულ დემარშს ესპანელ მეამბოხეთა „მთავრობის“ წინაშე იმის გამო, რომ მეამბოხეთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს საფრანგეთის ტერიტორიას.

ესპანელ მეამბოხეთა თვითმფრინავების მიერ საფრანგეთის ტერიტორიისათვის ყუმბარების დაშენის შემდეგ, იუწყება სააგენტო, საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლებამ სანაპირო ზონაში დასდგა საზენიტო ქვემეხები, რომლებსაც გაუფრთხილებლად დაუშენენ ყოველ თვითმფრინავს, რომელიც „კი საფრანგეთის საზღვარს გადმოლახავს.

საფრანგეთის პრესა გერმანია-იტალიის საიდუმლო შეთანხმების შესახებ

პარიზი, 25 იანვარი (საკდესი). ტაბუი „ევრში“ სწერს, რომ გერმანიისა და იტალიის მთავრობანი შეთანხმდნენ შეიმუშაონ გერმანიისა და იტალიის მომარაგების მიზნით ცენტრალური და ბალკანეთის ევროპის ქვეყნების ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების საერთო ეკონომიური გეგმა. იგულისხმება სურსათითა და ნედლეულით მომარაგება და გათვალისწინებულია ეკონომიური გენერალური შტაბის შექმნა გერმანიისა და იტალიის მოსამარაგებლად. წმინდა დიპლომატიურ სფეროში, შეთანხმების მიხედვით, გერმანია და იტალია მიიტანენ იერიშს ერთა ლიგაზე და ამისათვის გამოიყენებენ რუმინეთს, პოლონეთსა და სამხრეთ-ამერიკის ქვეყნებს.

ამ მოძენტს გერმანია აირჩევს ავსტრიის შემოერთებისათვის.

ფრანკო, ტაბუის ცნობით, გერმანიისაგან მოითხოვს სამასი თვითმფრინავის, მძიმე არტილერიისა და ტანკების გაგზავნას.

„ორდრი“ დასძენს, რომ გერმანია-იტალიის შეთანხმებაში ესპანეთის გარშემო ლაპარაკია 50 ათასი იტალიელი ჯარისკაცის გაგზავნაზე გენერალ ფრანკოსთვის. გერმანია თავისთავზე ღებულობს ომის მატერიალური მომარაგებისა და უზრუნველყოფის ხარჯებს: ზარბაზნებს, საომარ მოწყობილობას, სატელეგრაფო აპარატურას, ავტომობილებს, სარკინიგზო მასალას და სხვ.

იაპონელების ახალი თავდასხმა ამერიკელებზე

კანტონი, 25 იანვარი (საკდესი). მიმდინარე წლის იანვრის შუა რიცხვებში ნანკინში მოხდა ახალი ინციდენტი ამერიკელების წინააღმდეგ. იაპონელი ჯარისკაცები ნანკინში შეიჭრნენ სახლში, რომელიც ამერიკულ კომპანიებსა და მისიონერებს ეკუთვნის, გაანადგურეს მისი ქონება, ჩამოჰგლიჯეს და დასწვეს ამერიკის ბაირაღი, რომელიც ამერიკის კონსულმა სპეციალურად აღმართა შენობაზე; ამასთან სახლის კარებზე ამერიკის კონსულის მიერ გაკრული იყო საკონსულოს ოფიციალური მოწმობა იაპონურ ენაზე იმის შესახებ, რომ შენობა ამერიკელებს ეკუთვნით. ჰფიქრობენ, რომ ამ ინციდენტს და განსაკუთრებით ამერიკის ბაირაღის ასეთ შეურაცხყოფას იაპონიის მთავრობის კატეგორიული განცხადების შემდეგ, რომ ამერიკისა და მისი მოქალაქეთა ინტერესები და უფლებანი არ იქნება დარღვეულიო, შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს და გამოიწვიოს ამერიკის საზოგადოებრივი აზრის დიდი აღშფოთება.

საბჭოთა კინოფილმის „პეტრე პირველის“ დემონსტრაცია საზღვარგარეთ

პრაღა, 25 იანვარი (საკდესი). პრაღის ყველაზე დიდ კინოთეატრ „ფენიქსში“ უკვე რამდენიმე დღეა უჩვენებენ საბჭოთა ფილმ „პეტრე პირველს“. ფილმი უდიდესი წარმატებით სარგებლობს. დღისა და საღამოს სეანსებზე ბილეთები უკვე წინასწარ არის გაყიდული, რაც აქ იშვიათად ხდება ხოლმე.

„პრავა ლიდუ“ რეცენზიაში სწერს: „ფილმი „პეტრე პირველი“ უდავოდ კინემატოგრაფიული ხელოვნების უდიდესი ქმნილებაა. ეს არის საუკეთესო ფილმი ისტორიულ საბჭოთა ფილმებს შორის და საუკეთესო ფილმი მსოფლიო კინემატოგრაფიაში საერთოდ“. ძალიან მაღალ შეფასებას აძლევენ ფილმის რეჟისორს პეტროვს. „ნაროდნი ოსვობოჟდენი“ რეჟისორს უწოდებს კინემატოგრაფიული ხელოვნების ვირტუოზს, განსაკუთრებით მასობრივ სცენებში (საეკლესიო ზარების ჩამოხსნა, ბრძოლები ნარვის სიმაგრესთან და სხვ.) „არაევითარი ამისი მსგავსი,—სწერს გაზეთი,—ჩვენ არასოდეს არ გვინახავს“.

ძალიან მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა აქტიორებს, რომლებიც უკვე კარგად არიან ცნობილი ჩეხოსლოვაკიაში,—სიმონოვს (პეტრე პირველი), ჩერკასოვს (შვილი ალექსი), ჟაროვს (მენშიკოვი), ტარასოვას (ეკატერინე, პეტრე პირველის ცოლი).

საბჭოების ქვეყანა ემზადება სახელოვანი იუბილესათვის

მოსკოვი, 26 იანვარი (საკდესი). მთელი საბჭოთა ქვეყანა ემზადება მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელოვანი იუბილესათვის. წითელი არმიის ნაწილები და დანაყოფები, საბრძოლო გემები ჩაებნენ წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XX წლისთავის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში.

პერმის გარნიზონში ჩატარდა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება. ნაწილებში მოწყობილია მომღერალთა ახალი გუნდები და დრამატიული წრეები.

ვლადიმირის გარნიზონის ნაწილებში გამოცხადდა წითელი არმიისა და ფლოტის XX წლისთავის სახელობის სასროლო კონკურსი. შეჯიბრებაში მეთაურთა ოჯახებიც ჩაებნენ.

მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებისათვის ემზადება წითელი არმიის სახლი დონის როსტოვში. თერგის მომღერალ კაზაკთა გუნდი და წითელარმიელთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ახალ სიმღერებსა და ცეკვას სწავლობენ. თებერვლის პირველ ნახევარში როსტოვში იხსნება წითელი არმიის მხატვრული თვითმოქმედების საოლქო ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 500-ზე მეტი კაცი.

როსტოვის რევოლუციის საოლქო მუზეუმი მთელ რიგ გამოფენებს აწყობს ქალაქის საწარმოებისათვის. გამოფენის მასალებში დიდი ადგილი უკავია იმ დოკუმენტებსა და ფოტოსურათებს, რომლებიც გვიჩვენებენ სამოქალაქო ომს ჩრდილო კავკასიაში.

გადაჭრით გავაძლიერეთ საგაზაფხულო თესვისათვის მზადების ჯემპები

რემონტის გეგმა შესრულდა

აბაშა. ტრაქტორების რემონტის გეგმა აბაშის მტს-მა ნაცვლად 25 იანვრისა 23 იანვარს შეასრულა. შეკეთებულია „სტზ“ მარკის 20 ტრაქტორი, „ჩტზ“—1 და „უნივერსალიც“—2. რემონტის ხარისხი კარგია.

მტს-ის დირექტორი:

ალ. წულაია.

როცა ხელმძღვანელობა სუსტია!

(„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბორჯომის რაიონში კვლავ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვისათვის მზადება. რაიმინწანი სუსტად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობებს.

„ზაგოტზერნოსათვის“ გეგმით გათვალისწინებულ 100 ცენტნერი ჯიშიანი თესლის ნაცვლად დღემდე ჩაბარებულია მხოლოდ 60 ცენტნერი.

საშუალო რემონტს საჭიროებს 6 ტრაქტორი, მაგრამ რემონტი ჭიანურდება.

17 იანვრისათვის 388 გუთნიდან შეკეთებული იყო მხოლოდ 71 გუთანი, 32 ფარცხიდან კი — 5.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში საგაზაფხულო თესვისათვის მზადების წარმატებით ჩატარების მიზნით ჯერ კიდევ არ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ამ მიმართულებით არაფერი გაუკეთებიათ დგვარის, ტაძრისის და საკირის კოლმეურნეობათა გამგეობებს. ამ კოლმეურნეობებში შეუკეთებელია სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები. დამთავრებული არ არის სათესლე მასალის გაწმენდა-შემოწმება. მუშა-პირუტყვი არ გადაუყვანიათ გაძლიერებულ კვებაზე.

ტაძრისის კოლმეურნეობაში მანქანა-იარაღების შეკეთებელი ბრიგადა ნახშირის უქონლობის გამო სამი დღე მოცდა.

დგვარის კოლმეურნეობას ჯერ კიდევ არ დაუწყია ნაკელის გატანა. — რა გვეჩქარება, საგაზაფხულო თესვის დაწყებამდე ჯერ ბევრი დროა, — უპასუხისმგებლოდ აცხადებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. გოგოლაძე.

ტაძრისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამბ. ს. ფერაძე თესვას არ ჩქარობს. მან ისიც კი არ იცის, თუ როგორ ემზადებიან კოლმეურნეობები თესვისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომმა და რაიაღმასკომმა ამ ფაქტებიდან ჯეროვანი დასკვნა უნდა გააკეთონ.

ციგრუსებს მეჯი ზრუნავ

26 იანვარი. (საქდესი). საქლიმმანტრესტის ხელმძღვანელობამ ჩაატარა მთელი რიგი ღონისძიებანი ციტრუსოვანი ნარგავების მოვლა-პატრონობისა და შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ლიმმანტრესტის ციტრუსების სპეციალისტების მიერ შესწავლილი იქნა მათ სისტემაში შემავალ ყველა საბჭოთა მეურნეობის ციტრუსოვან ნარგავთა მდგომარეობა და გამოირკვა, რომ ციტრუსების 14 ათას ნარგავს ფესვის ყელთან მეტი მიწა ჰქონდა მიყრილი, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო. ეს ხელს უშლიდა მათ ზრდას. 1028 ძირი მეტად ღრმად არის ჩარგული და აწევას მოითხოვს; 150.000 ძირი ორმოების გაფორმებას მოითხოვს; ინდივიდუალური კალათები უნდა გაუკეთდეს რვა ათას ძირს, ხოლო 875 ძირი, აგროწესების დარღვევის შედეგად, გადარგვას საჭიროებს.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ციტრუსებისათვის ნიადაგის მომზადების საქმეში. წელს პირველ მარტამდე ლიმმანტრესტში შემავალმა საბჭოთა მეურნეობებმა ციტრუსებისათვის უნდა მოამზადონ ნიადაგი 64 ჰექტარზე; 20 იანვრისათვის გაწმენდილია მხოლოდ 30 ჰექტარი, ორმოების ამოღება ჯერ კიდევ არ დაწყებულა. კოხორას საბჭოთა მეურნეობამ უნდა მოამზადოს ნიადაგი 21 ჰექტარზე, გონიომ—7 ჰექტარზე, ალამბარმა—4,5 ჰექტარზე, ცეცხლაურმა—3 ჰექტარზე, ურეკმა—10 ჰექტარზე; ნიადაგის გაწმენდა დამთავრებული აქვს მხოლოდ კოხორას საბჭოთა მეურნეობას. ორმოები ჯერ არცერთ მეურნეობას არა აქვს ამოღებული. ასეთი ტემპები ლაპარაკობს იმაზე, რომ საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ აქცევენ ამ საქმეს საკმაო ყურადღებას, მაშინ როდესაც ციტრუსების დარგვა ფაქტიურად 15 მარტიდან უნდა დაიწყოს.

რა მდგომარეობაა ორგანიული ნაკელის დამზადების მხრივ? უნდა დამზადდეს ათი ათასი ტონა ნაკელი; დღემდე კი დამზადებულია მხოლოდ 2746 ტონა; ნაკელის საერთო რაოდენობიდან გონიოს საბჭოთა მეურნეობამ უნდა დაამზადოს 914 ტონა, დამზადებული და ადგილზე მიტანილი აქვს 200 ტონა. კვირიკეს, ნაცვლად 978 ტონისა, დამზადებული აქვს 400 ტონა. ურეკს, ნაცვლად 2508 ტონისა, დამზადებული აქვს ათასი ტონა. კოხორამ უნდა დაამზადოს 1066 ტონა, დამზადებული აქვს 177 ტონა, მუხაესტატეს დამზადებული აქვს მხოლოდ ასი ტონა, ნაცვლად 1151 ტონისა, ალამბრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობას—869 ტონა, მაგრამ ადგილზე ჯერ კიდევ არც ერთი ტონა არა აქვს მიტანილი. ნიადაგისა და სასუქების დამზადების ტემპები სამარცხვინოდ ჩამორჩენილია, რაც უმოკლეს დროში უნდა გამოსწორდეს.

თესვისათვის მზადების მიმდინარეობა

(რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა)

„კომუნისტის“ რედაქციას თავის სოფლკორებისაგან მოსდის სიგნალები იმ უყურადღებობასა და დაუდეგრობაზე, რასაც თესვისათვის მზადების მხრივ ცალკეულ რაიონებში, მტს-ებში, სოფლებსა და კოლმეურნეობებში იჩენენ.

ზუგდიდის მტს-მა 18 ტრაქტორი უნდა შეაკეთოს, 20 იანვრისათვის შეკეთებული იყო მხოლოდ 10. როგორც კორესპონდენტი **ს. ებრალიძე** იტყობინება, აქ 6 სარემონტო ბრიგადის ნაცვლად მხოლოდ 3 მუშაობს, სახელოსნოში, რომელიც ძალზე ვიწროა, არ არის განათება, რის გამო შეუძლებელია ხდება ბრიგადების ორცვლიანი მუშაობის მოწყობა. მტს-ში არ ზრუნავენ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, ბრიგადებსა და ტრაქტორისტებს შორის გაშლილი არ არის სოცშეჯიბრება.

— ზესტაფონის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში,—იწერება სოფლკორი **აკ. მერკვილაძე,** — დაზიანებული სახ.-სამ. მანქანა - იარაღებისა და ინვენტარის აღრიცხვა თავის დროზე მოახდინეს, მაგრამ მათ შეკეთებაზე თავს არ იწუხებენ, ამ კოლმეურნეობაში პირუტყვის საკვები საკმაო რაოდენობით აქვთ გამოყოფილი. მაგრამ დასუსტებული ხარები გაძლიერებულ კვებაზე ჯერაც არ გადაუყვანიათ. სტალინისა და ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობებმა თესლის გამოყოფის გეგმა შეასრულეს, მაგრამ თესლი არ გაუწმენდიათ.

თესვისათვის მზადებას გულგრილად ეკიდება ორჯონიკიძის რაიონის სოფ. ლეღვნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ო. ვეფხვაძე. როგორც კორესპონდენტი ქ. შარიქაძე იწერება, ამ კოლმეურნეობაშა აჭიანურებენ იარაღ-მანქანების რემონტს და სათესლე მასალის გაწმენდას. სუსტი მუშა-პირუტყვი, გადაყვანილი არ არის გაძლიერებულ კვებაზე

მუშა-პირუტყვის ცუდად მოვლაზე, სათესლე მასალის მოუმზადებლობასა და იარაღ-მანქანების შეკეთებისადმი გულგრილ დამოკიდებულებაზე მიღებულია სიგნალები საღნაღის რაიონიდანაც.

— სოფელ ულიანოვკის, საჭობოსა და ნუჩალის კოლმეურნეობებს, — გვაცყობინებს კორესპონდენტი მ. სააკოვი,—გამოყოფილი აქვთ სარეველიანი თესლა, რომელიც საჭიროებს გულდასმით გაწმენდასა და გადარჩევას. ანაგის, ვაქირის, საჭობოს, ჯუგაანის, მაჩხაანისა და სხვა მთელი რიგი კოლმეურნეობები არ შესდგომიან არა მარტო სათესლე მასალის გაწმენდას, არამედ მისი ვარგისიანობის შემოწმებასაც.

— სოფელ ბოდბის პირველი მაისის სახელობისა და ზემო-მაჩხაანის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში, — დასძენს კორესპონდენტი, — მუშა - პირუტყვი ჯერ არც დაუსვენებიათ და არც გაძლიერებულ კვებაზე გადაუყვანიათ.

როგორც სოფლკორი კ. ტაბატაძე იტყობინება, საგაზაფხულო თესვისათვის სუსტად ემზადებიან აბაშას რაიონის სოფ. ონტოფოს სტალინის და ლ. ბერიას სახელობა კოლმეურნეობებში. გუთნები, კულტივატორები და სხვა ინვენტარი, რომელიც შეკეთებას საჭიროებს, ცალკეულ ჰყრია, უანგდება და ფუჭდება.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში კომკავშირის ორგანიზაციების სუსტ მონაწილეობაზე მცხეთიდან იტყობინება კორესპონდენტი ს. თურნავა.

— მცხეთის სოფლსაბჭოში ჩამორჩენილია ტრაქტორების რემონტი, შეუსრულებელია თესლის გამოყოფისა და გაწმენდის, ჩვეულებრივი თესლის ჯიშიან თესლზე გადაცვლის და ტრაქტორებისათვის სწვავი მასალის მომარაგების გეგმები. საგაზაფხულო თესვისათვის მზადების დასაჩქარებლად ცალკეულ ბრიგადებსა, სოფლებსა და კოლმეურნეობებში გაშლილი არ არის სოცშეჯიბრება.

მაგრამ ჩამორჩენილებთან ერთად არიან მოწინავეებიც, რომლებიც საგაზაფხულო თესვისათვის ენერგიულად ემზადებიან. მაგალითად, წოდვერის (ბორჯომის რაიონი) 26 კომუნარია სახელობის კოლმეურნეობაში, როგორც ა. კოდუშაძე იტყობინება, გაწმენდილია და მზად არის სათესლე სიმინდი, ლობიო და კარტოფილი. მთავრდება ხორბლის თესლის გაწმენდაც. აქაურმა კოლმეურნეებმა იკისრეს ვადაზე ადრე დაამთავრონ იარაღ - მანქანების რემონტი. აქ უკვე შეუდგნენ სათეს ფართობზე ნაკელის მასობრივად გატანას. მუშა-პირუტყვს კარგად უვლიან. სუსტი ხარები დასვენებულია და გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე.

ეს კოლმეურნეობა ეჯიბრება სოფ. ცემის ეკოვის სახელობის კოლმეურნეობას.

საჭიროა მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა თესვისათვის მზადებაში არსებული ჩამორჩენის სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.

მილიონი ბოთლი შამპანური

წელს გამოუშვებენ ერთ მილიონ ბოთლ შამპანურს — ორჯერ მეტს, ვიდრე 1937 წელს გამოუშვეს. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად დიდდება შამპანური ღვინის ჩამოსხმა დასაძველებლად. შამპანური კეთდება სამი ხარისხისა — მშრალი, ნახევრადმშრალი და ტკბილი. შარშანდელთან შედარებით განსაკუთრებით მკვეთრად დიდდება ტკბილი ღვინის გამოშვება.

გარდა იმ სარდაფებისა, რომლებიც აქვს აბრაუ დიურსოს კომბინატს, წელს შამპანურის საწარმოებლად, მის შესანახავად და დასაძველებლად გამოყენებული იქნება სარდაფები „ნოვი სვეტში“ (ყირიმი), რომლებიც ცალიერია 1917 წლიდან და ქვის სატეხთა ქვაბულები ინკერმანში (ყირიმი).

წელს ამუშავდება დონის როსტოვის შამპანური ღვინის ქარხნის მეორე და მესამე რიგი. ქარხნის სრული სიმძლავრე — სამი მილიონი ბოთლი შამპანური წელიწადში — ათვისებული იქნება 1939 წელს.

(საკდესი).

თეთლისათვის არ ზრუნავენ

(საგარეჯო, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

რაიონში სათესლე მასალის გამოყოფას, შემოწმებასა და გაწმენდას ნაკლები ყურადღება ექცევა. გარდა მზესუმზირისა, რაიონს ჯერ არცერთი კულტურის თესლის გამოყოფის გეგმა არ შეუსრულებია.

კოლმეურნეობებში ხორბლის, ქერის, შვრის, ფეტვის, სიმინდისა და კარტოფილის თესლის დანაკლისი 4.000 ცენტნერს აღემატება. რაიონში არსებულ 14 სოფლსაბჭოდან ხორბლის თესლის გამოყოფის გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ კაკაბეთის სოფლსაბჭოს, ფეტვისა—სოფელ ხაშმს, ქერისა — გომბორს, სიმინდისა — მარტო მუღალოსა და სართიჭალას. კარტოფილის თესლის გამოყოფის გეგმა კი ჯერ არცერთ სოფლსაბჭოს არა აქვს შესრულებული.

საგარეჯოს რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანიზაციები თავიდანვე ცუდად ხელმძღვანელობდნენ კოლმეურნეობებს სათესლე მასალის გამოყოფასა და შენახვაში. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოსავლის განაწილების დროს არ გამოუყვიათ თესლი, რაც გამოიყენეს, ზოგან უწესოდ შენახვით გააფუჭეს.

ავიღოთ თუნდაც სოფელ საგარეჯოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც რაიონული ორგანიზაციების ცხვირწინაა. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გიგა ბეგდიაშვილმა გეგმით გათვალისწინებული 60 ცენტნერის ნაცვლად მხოლოდ 16 ცენტნერი კარტოფილის თესლი გამოჰყო; კარტოფილის დანარჩენი მოსავალი კი უკლებლივ შრომადღეებზე გაანაწილა. ფეტვისა და გაზაფხულის ხორბლის თესლი ერთი ცენტნერიც არ გამოუყვიათ, ქერი 26,5 ცენტნერის ნაცვლად სათესლედ გადასდეს მხოლოდ 15,5 ცენტნერი და ისიც დაწუნებულია ლაბორატორიის მიერ — გაღივების უნარის უქონლობის გამო. უვარგისად არის ცნობილი აგრეთვე სათესლედ გამოყოფილი სიმინდი—32 ცენტნერი.

მეტნაკლებად მსგავსი მდგომარეობაა რაიონის მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებშიაც. მაგალითად, სოფ. პატარძეულის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის მიერ გამოყოფილ 60 ცენტნერ ქერის თესლში თითქმის ერთი მესამედი სარეველა მცენარეთა თესლი ურევია, გაღივების უნარი კი, როგორც ლაბორატორიული შემოწმებით დადასტურდა, 23 პროცენტს არ აღემატება.

სოფ. ხაშმის კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავში“ ხორბლის თესლი ცუდად შენახვით გააფუჭეს. ამ თესლის აღმოცენების უნარი 17 პროცენტზე ნაკლებია. ამავე მიზეზით უვარგისად არის ცნობილი აგრეთვე ამავე კოლმეურნეობის მიერ გამოყოფილი ქერისა და მზესუმზირას თესლი. ასეთივე სურათია სოფ. კაკაბეთის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში.

გიორგიწმინდისა და ხაშმის სოფლსაბჭოებში შემავალი კოლმეურნეობები ჯერაც არ შესდგომიან თესლის გაწმენდას. მალხაზოვკის სოფლსაბჭოს თესლის გაწმენდის გეგმა 15 იანვრისათვის შესრულებული აქვს 2,5 პროცენტით, პატარძეულისას—11-ით. არის მთელი რიგი კოლმეურნეობები, რომლებსაც თესლი არც გაწმენდილი აქვთ და არც შემოწმებული.

ამავე დროს გამოყოფილი თესლის ხარისხი თითქმის ყველგან დამფიქრებელია. ლაბორატორიის მიერ შემოწმებულ 742 ცენტნერ ხორბლის თესლიდან 541 ცენტნერი არაკონდიციური აღმოჩნდა, დასარეველიანებული და გუდაფშუტით დაავადებული იყო და არ ჰქონდა აღმოცენების უნარი. 1054 ცენტნერი ქერიდან ვარგისად მხოლოდ 95 ცენტნერი იქნა ცნობილი, შვრია—498 ცენტნერიდან — 78.

როგორც სჩანს, საგარეჯოს რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სამეწარმოქმედო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ ვერ გამოუტანიათ სათანადო დასკვნები სსრკ სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილებიდან, რომელიც თესვისათვის მზადების მიმდინარეობას შეეხება.



თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკაზე გორის მტს-ში

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) სტუდენტები — მაჭავარიანი, ა. ქალიაშვილი და გ. კაზიაშვილი მუშაობენ ტრაქტორის შეკეთებაზე.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

ფრაქციონალური ბრძოლა ტროცკისტ-ბუხარინელ ფაშისტებს ... ...

საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში აღმოჩენილი კონტრრევოლუციურ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი

25 იანვრის საღამოს სხდომა

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალური კოლეგიის მეორე სხდომა გაიხსნა 25 იანვარს, საღამოს 7 საათზე. გრძელდება ბრალდებულთა დაკითხვა. ამ სხდომაზე დაკითხული იქნენ ბრალდებულები: საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორის ყოფილი მოადგილე კვლევის ნაწილში ი. დ. გარსიაშვილი, საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის ყოფილი ლექტორი—საქართველოს მეცხოველეობის საკვლევო ინსტიტუტის ყოფილი მეცნიერ-თანამშრომელი შ. ვ. ყიფიანი, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დირექტორის ყოფილი მოადგილე სასწავლო ნაწილში ნ. ა. ჯაფარიძე და საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტის საკვებმოპოვების განყოფილების ყოფილი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი დ. ს. მჭედლიშვილი.

ბრალდებულ ი. დ. გარსიაშვილის დაკითხვა

ბრალდებული წაყენებულ ბრალდებებში თავს სავსებით დამნაშავედ სცნობს და აღიარებს, რომ ის მონაწილე იყო საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტში მომქმედი კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციისა.

თავმჯდომარე—მოახსენეთ სასამართლოს, როდის და რა გარემოებებში ჩაებით მავნებლურ-კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში და რაში გამოიხატა თქვენი მავნებლური საქმიანობა?

ბრალდებული ი. დ. გარსიაშვილი—კონტრრევოლუციურ მავნებლურ ორგანიზაციაში ჩამბა ინსტიტუტის ყოფილმა დირექტორმა დადიანმა 1933 წლის დამლევს.

ინსტიტუტის დირექტორმა დადიანმა თავის მოადგილის თანამდებობაზე წამოაყენა გარსიაშვილი წინასწარი განზრახვით, რომ, მას გამოიყენებდა თავისი მავნებლური ზრახვების გასატარებლად. ბრალდებული აცხადებს, რომ მან პირველად უარი განაცხადა დაწინაურებაზე, მაგრამ დადიანმა უთხრა, შენ საჭირო კაცი ხარ, საკითხი უკვე შეთანხმებულია სადირექტივო ორგანოებთან და უარის თქმა სადირექტივო ორგანოების წინააღმდეგ წასვლა იქნებაო. გარსიაშვილიც დასთანხმდა თანამდებობის მიღებას.

როგორც ბრალდებული ამბობს, ერთხანს ის პატიოსნად ასრულებდა დირექტორის მოადგილის მოვალეობას, დადიანიც ეხმარებოდა მას, მაგრამ 1933 წლის დამლევს, როდესაც ინსტიტუტის მუშაობის წლიური გეგმის შესრულების ანგარიში სდგებოდა, მან აშკარად დაინახა, რომ ეს ანგარიში უაღრესად გაბერილი იყო და აშკარად თვალისახვევის ნიშნებს ატარებდა. მან მოითხოვა მისი გადასინჯვა, დაზუსტების მიზნით, მაგრამ დადიანი არ დაეთანხმა და განუცხადა—არსებობს მავნებლური ორგანიზაცია, რომელსაც მიაჩნია, რომ მეცხოველეობის გახვითარების აღებული ტემპები მიუღებელია, საჭიროა მავნებლური მუშაობის გაწლა, რათა დამტკიცდეს პარტიისა და ხელისუფლების ხაზის უმართებულობა ამ დარგშიო. ამასთან დადიანმა დასძინა, რომ ამ საკითხს, ამ დებულებას ეთანხმებიან პარტიისა და მთავრობის მთელი რიგი პასუხისმგებელი პირებიო. გარსიაშვილიც დაეთანხმა დადიანს და აქედან იწყება მისი მავნებლობა მეცხოველეობის დარგში. მავნებლური მუშაობისათვის მას ინსტიტუტის დირექტორი დაჰპირდა ხანგრძლივ სამეცნიერო მივლინებას მოსკოვში. ამასთანავე გააფრთხილა, თუ გამამხილე, აქედან არაფერი არ გამოვა, პირიქით, შენ გამოგაცხადებ მავნებლად და დაიღუპებიო.

თავმჯდომარე—რა მავნებლობა გაატარეთ?

გარსიაშვილი—მთავარი მავნებლობა, რომელიც ჩემს მიერ იყო ჩადენილი მდგომარეობს, ყიშურ დარაიონებაში, რაც იქითკენ იყო მიმართული, რომ საქართველოს მთის რაიონების პირუტყვი ხელუხლებლად უნდა დარჩენილიყო, ე. ი. არ უნდა გაგვეტარებინა იქ მეტიზაცია ჯიშების გაუმჯობესების მიზნით, გამტკიცებდი რა, რომ ყიშური ცხვარი თითქოს თავისთავად კარგი ჯიშისაა და მეტიზაციას არ საჭიროებს. ასევე უყურადღებოდ იყო დატოვებული საქონლის სხვა ჯიშებიც დაბლობ რაიონებში. ამასთან ჩემი მავნებლობა მდგომარეობდა იმაში, რომ ლაბორატორიებიდან წარმოდგენილ გეგმებს ვიღებდი და ვამტკიცებდი უკრიტიკოდ, ვხედავდი რა, რომ ეს გეგმები აშკარად მავნებლურად იყო შედგენილი, ვამტკიცებდი ლაბორატორიების მიერ წარმოდგენილ მავნებლურ წლიურ ანგარიშებსაც. ჩემი „მეცნიერული“ მტკიცების შედეგად მეძროხეობაში არ ჩატარებულა მთის ჯიშების მეტიზაცია, არ იყო გამოყენებული სიმენტალისა და გერმანული გაუმჯობესებული ჯიშები.

თავმჯდომარე—მაშასადამე, თქვენ წინააღმდეგი იყავით ისეთი ჯიშების გავრცელებისა, რომელიც ასწევდა მეძროხეობის მეურნეობას, არა?

გარსიაშვილი—დიაღ, სწორედ ეგრე იყო.

მეცხვარეობის დარგში, როგორც ვაღიარე, მე წინააღმდეგი ვიყავი თუშური ჯიშის ცხვრის მეტიზაციისა და ეს საქმე ჩემი დასკვნის შედეგად 1935 წლამდე შეჩერებული იყო. ასევე ჩემი დასკვნის შედეგად უარყოფილ იქნა მეტიზაცია მეღორეობის დარგშიაც. მართალია, ბოლო დროს ჩვენ იძულებული ვიყავით მიგვეღო დავალება პირუტყვის მეტიზაციის გატარების შესახებ, მაგრამ იმდენად ბუნდოვნად დავამუშავეთ ეს საკითხი, რომ მასში კოლმეურნეობებს გარკვევა არ შეეძლოთ და ვერც ვერაფერს გააკეთებდნენ.

თავმჯდომარე — რას იტყვით ბრალდებულების ჯაფარიძისა და სანაძის მავნებლური მუშაობის შესახებ?

გარსიაშვილი—მათი მავნებლური მუშაობა უმთავრესად გამოიხატებოდა განუხორციელებელი თემების დამუშავებაში, პირველისა—პირუტყვის ჯიშის გაძლიერების, ხოლო მეორისა—საკვები ბაზის გაუმჯობესების დარგში.

ბრალდებული შემდგომი დაკითხვისას ცდილობს თავი მოაჩვენოს სასამართლოს უინიციატივო, უნებისყოფო ადამიანად, რომელიც დადიანის ხელში უბრალო ტიკინას წარმოადგენდა და უყოყმანოდ ასრულებდა მის ყოველ განკარგულებასა და ნება-სურვილს. მაგრამ პროკურორის შეკითხვები თვალნათლივ ცხადჰყოფს, რომ იგი მავნებლური ორგანიზაციის მუშაობის ყოველ დეტალს კარგად იცნობდა და, იყო რა ჩაბმული მავნებლურ ორგანიზაციაში, ყოველნაირად ცდილობდა ამ მავნებლობისათვის ხელის შეწყობას.

სასამართლოს გამოძიებიდან ირკვევა ახალი მომენტიც, რომ გარსიაშვილის ანტისაბჭოთა განწყობილება ჯერ კიდევ მისი სამხედრო სამსახურში ყოფნის დროიდან მომდინარეობს. ის, როგორც მეფისა და მენშევიკური არმიის ყოფილი ოფიცერი, იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ბრალდებულ შ. ვ. ყიფიანის დაკითხვა

ბრალდებული ყიფიანიც სავსებით დამნაშავეთ სცნობს თავს და აღიარებს ყველა ბრალდებას, რომელიც წაყენებული აქვს საბრალდებლო დასკვნის მიხედვით.

მავნებლურ კონტრრევოლუციურ მუშაობაში, მისივე განცხადებით, იგი ჩაება პროფესორმა სანაძემ 1932 წლის დასაწყისში. სანაძე გაუტყდა მას, რომ იგი არის წევრი მავნებლური კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალიზმის რესტავრაციას, და წინადადება მისცა, რათა ისიც ჩაბმულიყო ამ ორგანიზაციაში. ყიფიანი დაეთანხმა.

ბრალდებული თავისი ჩვენების პირველ ნაწილში ცდილობს შემამსუბუქებელი გარემოებანი გამოუნახოს თავის თავს და მოუთხრობს სასამართლოს, თითქოს იგი მთელ რიგ საკითხებში არ ეთანხმებოდა მავნებლურ ორგანიზაციას და ეკამათებოდა სანაძეს. სასამართლოს თავმჯდომარის და პროკურორის შეკითხვებიდან ირკვევა, რომ ყიფიანი თვალისახვევის მიზნით ეკამათებოდა სანაძეს.

სანაძის მოვალეობას შეადგენდა დაემუშავებინა ახალი საკვები ბალახების გამონახვის საკითხი მისი მეცნიერული შესწავლის გზით. პროკურორის შეკითხვაზე, თუ რა ახალი საკვები ბალახი აღმოუჩინა მან ქვეყანას, ბრალდებული აღიარებს, რომ მას ამ მხრივ არაფერი ვაუკეთებია, პირიქით, ჩაშალა ეს მუშაობა. 1932 წელს მთელ ამიერკავკასიაში უნდა შეეგროვებინათ გარეული საკვები ბალახების თესლი და მეცნიერული შესწავლის გზით გამოერკვიათ, თუ როქელი მათგანის გამოყენება იქნებოდა შესაძლებელი. მავნებლებმა ეს მუშაობა ჩაფუშეს. ამასთან ინსტიტუტს მავნებლური ორგანიზაციის დავალებით დამნაშავეთ სცნობს თავს და აღიარებს ყველა ბრალდებას, რომელიც წაყენებული აქვს საბრალდებლო დასკვნის მიხედვით.

მავნებლურ კონტრრევოლუციურ მუშაობაში, მისივე განცხადებით, იგი ჩაება პროფესორმა სანაძემ 1932 წლის დასაწყისში. სანაძე გაუტყდა მას, რომ იგი არის წევრი მავნებლური კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალიზმის რესტავრაციას, და წინადადება მისცა, რათა ისიც ჩაბმულიყო ამ ორგანიზაციაში. ყიფიანი დაეთანხმა.

ბრალდებული თავისი ჩვენების პირველ ნაწილში ცდილობს შემამსუბუქებელი გარემოებანი გამოუნახოს თავის თავს და მოუთხრობს სასამართლოს, თითქოს იგი მთელ რიგ საკითხებში არ ეთანხმებოდა

ბრალდებულ ნ. ა. ჯაფარიძის დაკითხვა

ბრალდებული დამნაშავედ სცნობს თავს წაყენებულ ბრალდებებში. ზოგიერთი მომენტის გამოკლებით.

მავნებლურ - კონტრრევოლუციურ მუშაობაში ის ჩაება დადიანმა 1934 წლის ბოლოს. ეს შემდეგ გარემოებაში მოხდა: ზაფხულის პერიოდში ჯაფარიძე გაგზავნილი ყოფილა მთაში მეტიზაციის ცდების დასაყენებლად. სიღნაღის რაიონში უნახავს, რომ მეცხვარეობის დარგში საშინელი მდგომარეობაა.

— მეტისური სულადობა დაავადებული იყო ქეცით. ამიტომ შეუძლებლად მიეჩინე მეტიზაციის ცდების დაყენებაო, — აცხადებს ბრალდებული.

თბილისში დაბრუნებისას მას თავისი აზრი გაუზიარებია ინსტიტუტის დირექტორ დადიანისათვის. დადიანს ის დაუტუქსავს: შენი აზრი მავნებლურია და როგორ ბედავ მის წამოყენებასო.

— რამდენიმე ხნის შემდეგ,—გაგაგრძობს ბრალდებული ჯაფარიძე,—დადიანმა დამიბარა თავის კაბინეტში და მითხრა, არსებობს მავნებლური ორგანიზაცია, რომლის მიზანს შეადგენს საკოლმეურნეო მეურნეობის ჩაშლა, ჩვენ მოწოდებული ვართ ვიმუშაოთ ამ ხაზითო. ჯაფარიძემ თანხმობა განუცხადა.

ამის შემდეგ იგი ღებულობს დავალებას, რათა შეჰკვეცოს ინსტიტუტის 1935 წლის თემატიკა მეცხოველეობის დარგში, ამოიღოს იქიდან სადღეისო აქტუალური საკითხები და ჩაშალოს მეორე მეტიზაცია.

ჯაფარიძე ამ დავალებას ასრულებს.

შემდეგი მავნებლობა, როშელიც ჯაფარიძემ ჩაიდინა, ეს იყო დოლის ჩატარების შესახებ მავნებლური ინსტრუქციის შედგენა. მან შეადგინა ინსტრუქცია, რომლის თანახმად დოლი თებერვლის ნაცვლად იანვარში უნდა ჩატარებულიყო. ბრალდებული აღიარებს, რომ მისი ასეთი ქმედობა მავნებლური იყო და მიმართული იყო მეტიზაციის წინააღმდეგ.

პროკურორის შეკითხვიდან და ბრალდებულის პასუხიდან ირკვევა, რომ ჩვენში ყველაზე უკეთეს შედეგს იძლევა და საჭიროა მეცხვარეობაში რამბულისა და პრეკოსის ჯიშების მეტიზაცია, მაგრამ ჯაფარიძე ამას არ ატარებდა, რადგან მავნებლური ორგანიზაციისაგან მიღებული ჰქონდა დირექტივა შეენელებინა მეტიზაციის ტემპები.

ბრალდებულ დ. ს. მჭედლიშვილის დაკითხვა

ბრალდებული მჭედლიშვილი მავნებლურ-კონტრრევოლუციურ მუშაობაში ჩაუბამს სანაძეს, რომელსაც იგი 1933 წლის გაზაფხულზე გაუგზავნია ახალქალქის რაიონში საკვები ბალახების თესლებზე ცდების დასაყენებლად. როგორც ბრალდებული აცხადებს, ამ ცდებმა უარყოფითი შედეგები უჩვენა, რადგან თესლი უვარგისი გაეტანებინათ. ხედავს რა ამ მდგომარეობას სანაძე ეუბნება მჭედლიშვილს—ერთი საქმე დაგავალე და ისიც გამიფუჭეო. შემდგომაზე ახალქალაქიდან დაბრუნებულ მჭედლიშვილს სანაძე იბარებს სახლში და წინადადებას აძლევს ჩაებას არსებულ მავნებლურ-კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა ხელისუფლების დასუსტებას და შემდგომ დამხობას ჩვენი მოვალეობაა მავნებლობა, შენ ამის ერთი გამოცდილება უკვე მიღებული გაქვს და უნდა განაგრძო ამ გზით სვლაო. მჭედლიშვილიც ეთანხმება მას. სანაძე ამისათვის მას ჰპირდება დაწინაურებას მუშაობაში. ამის შემდეგ ის სანაძისაგან ღებულობს მეორე დავალებას,—დააყენოს ცდები ახალქალქის რაიონში ძირნაყოფა კულტურების შეტანის საკითხის შესასწავლად. ეს დავალება წინასწარ მავნებლური მიზნით იყო მოცემული, ე. ი. გადაწყვეტილი იყო, რათა ამ ცდას შედეგები არ მოეცა. მჭედლიშვილმა ეს დავალებაც შეასრულა. „მეცნიერმა“ „დაამტკიცა“, „ახალქალაქში ძირნაყოფები არ გავრცელდებაო“ მეორე მავნებლობა, რომელიც მჭედლიშვილმა განახორციელა, ეს იყო ყარაიას რაიონში საკვები ბალახების გარეული ჯიშების გამოკვლევა. ეს ღონისძიებაც მავნებლური იყო იმიტომ, რომ ამისათვის ყარაიაში სათანადო ბაზა არ მოიპოვებოდა და ცდებიც ვერავითარ შედეგს ვერ გამოიღებდა. მიუხედავად ამისა, ცდები მაინც დაყენებულ იქნა და შრომამ და ხარჯებმა ტყუილ-უბრალოდ ჩაიარა.

26 იანვრის საღამოს სხდომის დღიური

26 იანვარს საღამოს შესდგა სასამართლოს მორიგი მესამე სხდომა. ამ სხდომაზე დაკითხულ იქნა ბრალდებული მიხეილ სტეფანეს-ძე ტიმოფეევი, რომელმაც სასამართლოს უამბო მავნებლურ ორგანიზაციაში თავისი მუშაობის შესახებ.

ბრალდებულ ტიმოფეევის დაკითხვით დამთავრდა სასამართლო გამოძიება, რის შემდეგაც დაიწყო მხარეთა კამათი. ვრცელი საბრალდებო სიტყვით გამოვიდა სახელმწიფო ბრალმდებელი, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ამხ. გ. სულუხია. მან მოითხოვა სამსჯავროს წინაშე წარმდგარ გარეწარ-მავნებლების, როგორც ხალხის მტრების, ფიზიკური განადგურება, დახვრეტა. სახელმწიფო ბრალმდებლის ამ მოთხოვნას მთელი დარბაზი ტაშით შეხვდა.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ დამცველები — თუთბერიძე, ჭიჭინაძე და ღლონტი. მათ იუმამდგომლეს სასამართლოს წინაშე ბრალდებულთათვის სიცოცხლის შენარჩუნების შესახებ.

უკანასკნელ სიტყვებში ბრალდებულებმა ითხოვეს სიცოცხლის შენარჩუნება.

ღამის 12 საათზე სასამართლო გავიდა სათათბირო ოთახში განაჩენის გამოსატანად.

Თ

ნაშუაღამევის 3 საათზე სასამართლომ გამოაქვეყნა განაჩენი კონტრრევოლუციურ - მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა მიმართ.

შალვა ნიკოლოზის-ძე დადიანს, ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე სანაძეს, იერემია დავითის-ძე გარსიაშვილს, შალვა ვასილის-ძე ყიფიანს და ნიკოლოზ ალექსადრეს-ძე ჯაფარიძეს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით.

დიმიტრი სოლომონის-ძე მჭედლიშვილს და მიხეილ სტეფანეს-ძე ტიმოფეევს მიესაჯა ოც-ოცი წლით პატიმრობა, პატიმრობის წინასწარი ვადის ჩათვლით და პირადი ქონების კონფისკაციით. სასჯელის მოხდის შემდეგ ორივე მათგანს ჩამოერთვა საარჩევნო ხმის უფლება ხუთ-ხუთი წლის ვადით.

განაჩენი საბოლოოა.

ერთი ქარხნის ამოცანები

გასული წლის საწარმოო გეგმა 26 კომისრის სახელობის ქარხანამ 104,4 პროცენტით შეასრულა, 6.800 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად დაამზადა 7.100 ათასი მანეთის პროდუქცია.

1937 წლის განმავლობაში ქარხანამ აითვისა და მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოუშვა მანქანათა სრულიად ახალი სახეები: საბობნაყო და „ჩიბას“ სისტემის მანქანები, „ჟოლტის“ სისტემის რთული საჭიანები.

წინასწარი გაანგარიშებით, საჭიანნო პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია დაახლოვებით 6,5 პროც., ხოლო ერთი მუშის ფაქტიურმა გამომუშავებამ წლიური გეგმით გათვალისწინებულს 6,1 პროც. გადააჭარბა.

ქარხანას ჰყავს საამაყო სტახანოველები, რომლებიც ტექნიკურ და გამომუშავების ნორმებს ერთიორად და ზოგჯერ ერთისაჭადაც ასრულებენ. ასეთებია: ხარატები ა. ვართანოვა, გ. დოშიანი, ე. მოსესოვა, ზეინკალი კოტალაშვილი, მეყალიბე გვენცაძე. დამკვრელობის ფართოდ გაშლით, ტექნიკის ათვისებით, თავიანთი სამუშაო ადგილების ჩინებულად მოწყობითა და იარაღ-მანქანების სანიმუშოდ მოვლით შრომის მაღალ ნაყოფიერებას მიაღწიეს ს. ჭოხონელიძემ, ა. მ. მეოაძემ, რ. ლისენკომ და სხვ.

წინათ ჩამორჩენილმა სამსხმელო საამქრომ უკანასკნელ დროს მკვეთრად გარდაჭრა თავისი მუშაობა და ამით გამოასწორა საწარმოო ფრონტი. ამიერიდან ის უკვე აღარ წარმოადგენს ქარხნის „ვიწრო“ ადგილს. გასული წლის განმავლობაში ჩინებულად მუშაობდა აგრეთვე მეორე საამწყობო საამქროც.

აშკარაა, ქარხანას გაცილებით მეტი მიღწევები ექნებოდა, იქ რომ ეოწოდების სომალელზე იდგეს სტახანოველთა მომძრაობის ხელმძღვანელობა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის „მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ფაბრიკებისა და ქარხნების სტახანოველთა მომართვის“ შესახებ მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ახლა მთავარია სტახანოვური რიგების გაფართოება.

სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ქარხნის ხელმძღვანელობას დღემდის არ გარდაუტეხია მუშაობა. ქარხანაში მოწინავე სტახანოველთა მუშაობის მეთოდების დამკვრელთა ფართო მასსათვის გაცნობა ღღემდის ვერა ფასეულ ჯერ-ჯერობით ინიციატივაზე, ქარხნის და საამქროების ხელმძღვანელებს, ეტყობა, საკმაოდ ვერ ეხმაურებიან დამკვრელთა ფართო ძალის შემოქმედებითს საწარმოო ინიციატივას და ვერ უქმნიან მათ სტახანოვური მუშაობისათვის საჭირო ხელსაყრელ პირობებს.

სტახანოვური მოძრაობის გაღრმავება-გაფართოების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხელფასის სწორ ორგანიზაციას, რაც არაერთხელ ყოფილა აღნიშნული პარტიისა და მთავრობის დადგენილებებში და დირექტივებში. ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხელფასის პროგრესიულ სანარდო სისტემის მტკიცედ დანერგვას წარმოებაში. ხელფასის პროგრესიულმა სანარდო სისტემამ უნდა მოიცვას წარმოებაში მომუშავეთა დიდი უმრავლესობა.

მიუხედავად ამისა, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში და მის ცალკეულ საამქროებში დღემდე ბლომად მოიპოვებიან ისეთი მუშები და ისეთი დამკვრელებიც კი, რომლებიც დღემდე გადაყვანილი არ არიან ხელფასის პროგრესიულ სანარდო სისტემაზე. ხოლო საამქროთა ინჟინრების, ტექნიკოსების, ცალკეულ ოსტატთა და ბრიგადირების ხელფასი წესრიგდება არა საწარმოო გეგმების როდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

ქარხანაში სუსტადაა დაყენებული შრომის აღრიცხვის საქმეც. ქარხანაში არავინ იცის, რამდენია იქ დამკვრელი. ეს არც შრომის ეკონომისტმა აუხსნა. მაისაშვილმა უწყის. არავინ ზრუნავს მუშების შორის ფართოდ გაშლილი სოცშეჯიბრების შედეგების აღრიცხვაზე.

დიდი და პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგას ქარხანა 1938 წელს. შარშანდელთან შედარებით ქარხანამ წელს ქვეყანას უნდა მიაწოდოს ერთი მილიონი მანეთით მეტი პროდუქცია. გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად უნდა გადიდდეს შრომის წაყოფიერება, მოისპოს წუნი, შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება, ათვისებულ იქნას ვანქანათა ახალი სახეები, საბოლოოდ აღმოიფხვრას საზიზღარი მავნებლობის შედეგები.

ამ მეტად საპატიო ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია ქარხნის ხელმძღვანელობამ საფუძვლიანად გარდაჭრას თავისი მუშაობის მეთოდები.

დ. ლამარინი

ახალი ადამიანები მოწინავეთა რიგებში

Ქუთაისი 13 იანვარი (საქდესი). მაუდის ფაბრიკამ გასული წლის გეგმა მთლიანად შეასრულა: ფაბრიკამ ქვეყანას მისცა გეგმით გათვალისწინებული 436 ათასი მეტრი მაუდი და 12 ათასი კვ. მეტრი ხალიჩა.

მიმდინარე წელს ფაბრიკამ უნდა დაამზადოს 447 ათასი მეტრი მაღალი ხარისხის მაუდი და 20 ათასი მეტრი ხალიჩა.

ფაბრიკის მთელი კოლექტივი გაეცნო 1938 წლის საწარმოო გეგმას. სტახანოველებმა მუშებმა განაცხადეს, რომ ფაბრიკას ყველა შესაძლებლობა აქვს იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულოს მიმდინარე წლის დავალება. მათ პირობა დასდეს ამთავითვე გაშალონ ენერგიული მუშაობა იმისათვის, რომ გეგმა შესრულდეს ვადამდე და გადაჭარბებით.

ფაბრიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტახანოველთა რიგების ზრდას. გასული წლის ნოემბრის პირველი რიცხვებისათვის ფაბრიკაში 216 სტახანოველი იყო, დღეს კი 254 სტახანოველია, სტახანოველთა რიგებში ჩადგნენ ამხ. კ. თევდორაძე, მ. ხარიტონიდი, მ. ხურციძე, კ. ქორიძე, დემურჩიანი, ვ. შალამბერიძე და სხვ.

გამოიზარდნენ ოსტატები, ქვეოსტატები, რომლებიც სანიმუშოდ უძღვებიან ფაბრიკის ცალკე საამქროებს და საწარმოო ერთეულებს. ასეთები არიან ყოფილი მუშები ქილარჯიანი, ზაქარიაძე, გაბედავა და სხვა.

გამოცდილი მუშები, ოსტატები და ქვეოსტატები დაუღალავად მუშაობენ იმისათვის, რომ თავისი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარონ ამხანაგებს, ახალ მუშებს და მისცენ მათ შესაძლებლობა ჩადგნენ სტახანოველთა რიგებში.

სტახანოვური მოძრაობის ახალი ფალღა

შრომის სწორმა ორგანიზაციამ და ცოცხალი ადამიანებისადმი ყოველდღიურმა ზრუნვამ „მკერავის“ № 2 ფაბრიკაში სტახანოველთა რიგების არაჩვეულებრივი ზრდა მოგვცა.

გასული წლის პირველ იანვრისათვის ფაბრიკაში 241 სტახანოველი ითვლებოდა, ხოლო 1938 წლის პირველი იანვრისათვის 1059 მუშა-მოსამსახურიდან და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალიდან 605 სტახანოველია.

ფაბრიკის კოლექტივმა პირველ კვარტალში უნდა გამოუშვას 2.290,8 ათასი მანეთის პროდუქცია.

სარეკორდო მაჩვენებლებს იძლევიან ცალკე საამქროების სტახანოველები. მაგალითად, მეხუთე საამქროს სტახანოველს კ. პეტროსიანს აღებული ჰქონდა ვალდებულება 300 პროცენტით შეესრულებინა ყოველდღიური გეგმა, მაგრამ მან 14 იანვარს დღიური ნორმა 389,1 პროცენტით შეასრულა. ხოლო ამხ. ნარიმანოვმა, ნაცვლად 315 პროცენტისა, დღიური გეგმა 318,9 პროცენტით შეასრულა. ასეთივე მაჩვენებლებს იძლევიან ამავე საამქროს მუშები ვ. იუზბაშოვი და ნ. მეძმარიაშვილი.

ასეთი შრომის ოსტატები ფაბრიკაში უამრავია. პირველი საამქროს სტახანოველმა ქალმა ნ. სხირტლაძემ გასული წლის წლიური გეგმა 8 თვის განმავლობაში შეასრულა, ახლა კი ყოველდღიურ გეგმას 220,7 პროცენტით ასრულებს. მეოთხე საამქროს მუშა ა. ბაიბუთიანი ყოველთვის ჩამორჩებოდა გეგმის შესრულებაში; მას დაეხმარნენ ქარხნის მოწინავე ადამიანები და დღეს ის ფაბრიკის სტახანოველია, ყოველდღიურ გეგმას 218,4 პროცენტით ასრულებს. ასევე გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს ცალკე საამქროების სტახანოველები მ. დავთიანი, ა. ხიტირიანი და სხვები.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს შორის ჯერ კიდევ არ არის გაფორმებული სოცშეჯიბრების ხელშეკრულება. ეს ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს—ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა შორის ფართოდ უნდა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება, რის საშუალებითაც ფაბრიკა შესძლებს კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლების მიღწევას. და ახალი ადამიანების გამოვლინებას.

გ. გლიაძე — საკ. კ. პ. (ბ) Ც. Კ-ᲘᲡ სას.-სამ. ᲒᲐᲜᲧ. ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲘ

გამოვასწოროთ სას.-სამ. არჯევრის წესდების დამახინჯებანი

მოსავლის საუკეთესოდ დაცვა, შემოსავლის სწორად განაწილება, შრომადღეების თავის დროზე გამოანგარიშება-დარიცხვა, ანგარიშების გასწორება, სასოფლო - სამეურნეო სამუშაოების ვადაზე და მაღალი ხარისხით შესრულება,—გადაუდებელი ამოცანაა, როგორც სხვა ისე ორჯონიკიძის, ჩხარისა და ზესტაფონის რაიონების პარტიული, საბჭოთა, სამოწათმოქმედო ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობებისათვის.

უდავოა, რომ ორჯონიკიძის, ჩხარისა და ზესტაფონის რაიონების საკოლმეურნეო მშენებლობაში თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს. კოლმეურნეობები სწრაფი ნაბიჯით მიდიან წინ, მტკიცდებიან, ბოლშევიკური ხდებიან; კოლმეურნენი ცხოვრობენ კულტურულად, შეძლებულად.

მაგრამ წელს კიდევ უფრო მეტ წარმატებებს უნდა მივაღწიოთ. საჭიროა მოპოვებულ გამარჯვებათა განმტკიცება, სას.-სამ. არტელის სტალინური წესდების მტკიცედ დაცვა, ყველა არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, ჩამორჩენილ ლიკვიდაცია. ხოლო ნაკლსა და ჩამორჩენას ორჯონიკიძის, ჩხარის და ზესტაფონის რაიონებში ჯერ კიდეც აქვს ადგილი.

ორჯონიკიძის რაიონში პირუტყვის საკვები ბალახებისა და კარტოფილის თესვის 1937 წლის გეგმა არ შეუსრულებიათ, ვაზის სანერგეებში კი, ნაცვლად 1.187.000 ძირისა, მხოლოდ 723.352 ძირი ნამყენი დარგეს (გეგმის 60,9 პროცენტი). ვაზის სადეის გაშენების გეგმაც რაიონს 95 პროცენტზე მეტად არ შეუსრულებია. სოფელ მაქუთუბნის მეორე უბნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ვერ უზრუნველჰყვეს ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერი სიმინდის მოსავლის მიღება. სოფელ დეიფის კოლმეურნეობა „შრომის სხივში“ დაბალი მოსავალი მიიღეს, რადგან დროულად არ გაატარეს საჭირო ღონისძიებანი.

კოლმეურნეობებმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველჰყვეს მუშა-პირუტყვის ბოსლების საჭირო რაოდენობით აგება (1937 წელს დამთავრდა მხოლოდ 23 ბოსლის მშენებლობა). ამიტომ განსაზოგადოებული პირუტყვის დაახლოებით მხოლოდ 39 პროცენტია უზრუნველყოფილი საერთო საკოლმეურნეო ბინებით. ორჯონიკიძის რაიმიწგანი დაუშვებელ გულგრილობასა და უპასუხისმგებლობას იჩენს პირუტყვის ნორმალური გამოზამთრების უზრუნველყოფის საქმეში—მას არ მოეპოვება ზუსტი ცნობები, თუ რამდენი უხეში და კონცენტრირებული საკვები დააკლდება.

გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობის შედეგად ზოგიერთ კოლმეურნეობაში არეულია აღრიცხვის საქმე. სოფელ საღანძილის კოლმეურნეობა „წითელ-სხივში“ არ ინახება წერილობითი საბუთი იმის შესახებ, თუ რამდენი დასთესეს უკანასკნელად ესა თუ ის კულტურა. ამის შესახებ ბრიგადირთა ცნობების ნახევარი დაკარგულია, ხოლო დანარჩენი კედელზე ჰკიდია უწესრიგოდ. ბრიგადირების მიერ შესრულებული უკვე აღრიცხული სამუშაოებიც სათანადო ფორმებში არ არის ჩაწერილი.

საკარმიდამო ნაკვეთის მინიმუმად დაწესებულია 0,25 ჰექტარი. კოლმეურნეობა ვალდებული იყო ამ რაოდენობის ფართობის მიცემა უზრუნველეყო. მაგრამ, მაგალითად, პლატონ და იაშა კიკნაძეების მიმართ ეს წესი დაარღვიეს—მათ მხოლოდ 0,1—0,15 ჰექტარი აკმარეს. ამავე კოლმეურნეობაში, წინასწარი გამაფრთხილებელი და აღმზრდელობითი ღონისძიების მიუღებლად გარიცხეს კოლმეურნე სერგო იჩქიტიძე. აქვე, მიუხედავად იმისა, რომ შრომადღეებზე დასარიგებელია 13.000 მანეთზე მეტი, დეკემბრამდე წევრებზე სესხად გასცეს მხოლოდ 3.785 მანეთი, ისიც 123 მეურნეობიდან 44-ზე. ყოველთვიურად გამოკრული არ არის კოლმეურნეების მიერ გამომუშავებული შრომადღეები.

არტელის სტალინური წესდების გატარებაში უპასუხისმგებლობის მაგალითებს ვხედებით სოფელ ზარნის კოლმეურნეობაში. საკარმიდამო ნაკვეთი ზოგს ნორმაზე მეტი აქვს, ზოგს კი ნაკლები, მაგრამ ამ მდგომარეობას ყურადღება არ ექცევა. კოლმეურნეობიდან გარიცხულია მ. გოგინაშვილი, ხოლო მისი გარიცხვის ოქმზე არც თავმჯდომარეს უწერია ხელი, არც მდივანს, არც ის არის აღნიშნული, თუ გარიცხვას რამდენმა კაცმა მისცა ხმა. მთელ რიგ კოლმეურნეთა წიგნაკებში ჩაუწერელია მათ მიერ გამომუშავებული შრომადღეები, გამოკრული არ არის კოლმეურნეთა სიები. მათ მიერ გამომუშავებული შრომადღეების აღნიშვნით. აქვე, ზარნის კოლმეურნეობაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავის

ჩვენ გვწერენ

უკანონო გადაწყვეტილება

სოფ. ქვაბლა-ნაბეღლავის (ჩოხატაურის რაიონი) მცხოვრებმა ალექსი სიხარულიძემ და მისმა შვილმა ამიშენეს ოთხოთახიანი სახლი. მაგრამ შენობა 1934 წ. 31 ოქტომბერს დილით, სრულიად წყნარ დღეს, დაინგრა. განადგურდა როგორც შენობა, ისე მთელი საოჯახო ნივთები. შიგ მძინარე ადამიანები ძლივს გადარჩით სიკვდილს.

შენობის დანგრევის მიზეზი იყო მისი არაკეთილსინდისიერად აგება. ხუროებს სვეტები მიწაში მხოლოდ 7 სანტიმეტრას სიღრმეზე ჩაუდგამთ. საკმარისი იყო ოდნავ რაიმე შეხებოდა შენობას, რომ ის წაქცეულიყო. ასეც მოხდა.

თავზარდაცემულმა იმდღისვე გავასაჩივრე საქმე ჩოხატაურის რაისახალხო სასამართლოში. საქმე პირველად გაირჩა ადგილზე, მეორედ კი ჩოხატაურის რაისახალხო სასამართლოში. სასამართლო საქმეს ცალმხრივად მიუდგა. ამიტომ შოვითხოვე ადგილზე ექსპერტიზის დანიშვნა. მართლაც გამოგზავნეს კომისია, რომელმაც დაადასტურა, რომ სახლი მავნებელურად იყო აშენებული. ჩემთვის მოყენებული ზარალის ასანაზღაურებლად კომისიამ 9.000 მანეთი განსაზღვრა.

ჩოხატაურის რაისახალხო სასამართლომ არცკი მოუსმინა თავის მიერ გამოკვლეულ ექსპერტებს და ბრალდებულ სიხარულიძეებს 9000 მანეთის ნაცვლად 500 მანეთს გადახდა დაეკისრა.

სიხარულიძეები არ დათანხმდნენ და განაჩენს და უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიას მიმართეს. ამ უკანასკნელმა საქმე გასარჩევად მახარაძის რაისახალხო სასამართლოს გადაცა.

მახარაძის რაისახალხო სასამართლომ ადგილზე გაარჩია საქმე და ჩემთვის ზარალის ასანაზღაურებლად სიხარულიძეებს 4.000 მანეთის გადახდა დაეკისრა. სიხარულიძეები არც ამ განაჩენს დაეთანხმნენ და კვლავ მიმართეს საკასაციო კოლეგიას, რომელმაც მათი საჩივარი არაკანონიერად სცნო და არ მიიღო.

სიხარულიძეებმა იმდენი მოახერხეს, რომ ორი წლის ხანდაზმულობის შემდეგ საქმე წარმოებით მოსპეს.

მოვითხოვ საქმეში რესპუბლიკის პროკურორის ამხ. ი. ტალახაძის ჩარევას.

ერ. ქალანდაძე

თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მოწაფეები აწყობენ დიდი პოეტის შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ გამოფენას.
ფოტო შმელიოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

პასუხი უნდა მოეთხოვოს

ხოდაშნის ქ. № 5 სახლში ცხოვრობენ მაზო და ხაიმ დავითაშვილები, რომლებმაც სახელი გაითქვეს ხულიგნური მოქმედებით.

აღნიშნული სახლის მცხოვრებთ საერთო სამზარეულო ჰქონდათ. ერთხელ მაზოს და ხაიმს აზრად მოუვიდათ: ბავშვები გვეზრდებიან, საცხოვრებელი ფართობი აღარ გვეყოფა, მოდი საერთო სამზარეულოს დავეპატრონოთ, გავტეხოთ, შევიდეთ შიგ და მერე რაღას იზამენო. ასეც მოიქცნენ, მაგრამ მეზობლებმა გაასაჩივრეს მათი მოქმედება და სასამართლომ დაადგინა დავითაშვილებს გაენთავისუფლებინათ საერთო სამზარეულო. გაანთავისუფლებინეს კიდეც, მაგრამ მაზომ და ხაიმმა სასამართლოს განაჩენი არ სცნეს და მეზობლებს დაემუქრნენ, ფეხი არავინ შემოდგათ სამზარეულოში, თორემ ყველას მოგწამლავთ, საჭმელში შხამს ჩაგიყრით, შოგკლავთ, გადაგბუგავთო.

საქმე ახლა კიროვის რაიონის პროკურორს გადაეცა. პროკურორმა პირადად მოახდინა შემოწმება ადგილზე და დაასკვნა, რომ სამზარეულო უნდა დარჩეს, მაგრამ მაზომ და ხაიმმა პროკურორის განკარგულებაც აბუჩად აიგდეს: სასამართლოც და პროკურორიც მექრთამეები არიანო. შემინებული მეზობლები იძულებული გახდნენ ამ ხულიგნებს მორიდებოდნენ. მაზოსა და ხაიმსაც ეს უნდოდათ, ადგნენ და ისევ ჩასახლდნენ სამზარეულოში, მეზობლები კი ისევ უსამზარეულოდ დარჩნენ.

სიტყვა ისევ კიროვის რაისასამართლოს და პროკურატურას უკუთვნით.

ზ. ყაველაშვილი

კულაკოვი აფერხებს საფეიეფონო ქსელის გაფართოებას

(ბორჯომი, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

1937 წლის მაისიდან ბორჯომში დაიწყო სატელეფონო ხაზის გაფართოება. ბორჯომში უნდა დადგმულიყო „ტბ“ სისტემის 300-ნომრიანი კომუტატორი, ხოლო ამავე სისტემის 100-ნომრიანი კომუტატორი ჩარხის-წყალზე უნდა დაედგათ.

სატელეფონო ხაზის გაფართოებას აწარმოებს საქ. კავშირგაბმულობის სამმართველოდან მოვლინებული ტექნიკოსი კულაკოვი, რომელიც განზრახ აჭიანურებს მშენებლობას. იგი მთელ თვეში მხოლოდ 10 დღესაა ბორჯომში, დანარჩენ დროს თბილისშია.

სატელეფონო ხაზების გაფართოება და ახალი კომუტატორების დადგმა მთლიანად უნდა დამთავრებულიყო გასული წლის 7 ნოემბრისათვის, მაგრამ კულაკოვის უთავო მუშაობის შედეგად საქმე საგრძნობლად ჩამორჩა.

ბოლოს, 1937 წლის 15 ნოემბერს, ბორჯომში ჩამოვიდა ინსპექტორი ბ. ... ...